დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

16. ი. 28
20.05.2016

საქართველოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკანცელარიო ნაწილი. შემოსავალი კორესპონდენციის სამსახური
229324451
20. 05 2016 წ
№ 283

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 680

17 მაისი 2016 წელი

ქ. დუშეთი

**ქ. დუშეთში, N1 საბავშვო ბაღის დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის აღდგენითი სამუშაოებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

ქ. დუშეთში, N1 საბავშვო ბაღის დირექტორის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ქ. დუშეთში, N1 საბავშვო ბაღის დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის აღდგენითი სამუშაოების საკითხი და წარმოდგენილია შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 853 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ქ. დუშეთში, N1 საბავშვო ბაღის დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის აღდგენითი სამუშაოებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 853 ლარი.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ.ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება და თანხის გადარიცხვა.
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3, პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ვ.ჩოხელი/

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

# განკარგულება

# 1448

KA080174822002916

13 / მაისი / 2016 წ.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 5 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის SMP160001288 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ დუშეთში საბავშვო ბაგა-ბაღის საკანალიზაციო სისტემის აღდგენისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების (CPV-45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმდინარე წლის 30 მარტს დაფიქსირდა საბავშვო ბაღის სარდაფში წყლებისა და ფეკალური მასის დაგროვების ფაქტი. საბავშვო ბაღის საკანალიზაციო სისტემა მთლიანად მწყობრიდან არის გამოსული, რაც საბავშვო ბაღში ქმნის ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საბავშვო ბაღიდან 30 მარტს შეტყობინების მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დათვალიერებული იქნა დაზიანებული წერტილები, მოხდა დაზიანების ხარისხის შესწავლა, მის აღმოსაფხვრელად ჩატარდა მასალების ბაზრის კვლევა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ამასთან, ზემოაღნიშნული სამუშაოების პარალელურად გამოიყო თანხა სარეზერვო ფონდიდან და მიმდინარეობდა კონსულტაციები დუშეთის წყალმომარაგების კომპანიასთან.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვაშია მითითებული, შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ განსაზღვრავდა კანალიზაციის სისტემის დაზიანებას. ამასთან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, იქმნება ეპიდემიის გავრცელების საფრთხე. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მკაცრად მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, წინასწარ იმგვარად უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და შემდგომ მისი მართვა, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის

ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის SMP160001288 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე